ლაბორატორია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №5 (183) მაისი 2025

ირაკლი ცხადაია

პროტესტი და დეზინფექცია

– თავისუფლება პატიმრებს! – მთელი ძალით და ღონით, ყვიროდა სასამართლოსთან გოგონა მეგაფონით.

გვ. 2

ლუკა შატბერაშვილი

შიომღვიმის კანკელი („ჯვარცმა“)



შიომღვიმის ტაძრის არქიტექტურა ტიპური ქართული საკულტო ნაგებობის მაგალითია. ტაძარში განთავსებული იყო კანკელები, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი ჯვარცმის გამოსახულება იყო.

გვ. 3-4

თეკლა თალაკვაძე

მოქალაქეების როლი პიესაში „რიჩარდ მესამე“



მოქალაქეების პერსონაჟები შექსპირის პიესაში ასახავენ იმ ხმას, რომელიც ხშირად არ ისმის. მათი ეჭვი, შიში და სინდისი გვაფიქრებინებს, რომ სამეფო გადაიტანს შიგნიდან განახლებულ ზეწოლას.

გვ. 5

ლიზი ფეიქრიშვილი

ქრისტეს შობა

„შობა“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორისაა. „შობა“ განსაკუთრებით პოპულარული თემაა ხელოვნებაში და წამყვანი ადგილი უკავია შუა საუკუნეებში.

გვ. 6-7

ნინე კიკილაშვილი

„გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ისევ გაზაფხული“ (2003)

თითოეული სეზონი – გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი – ცხოვრების სხვადასხვა ეტაპია, თითოეულისთვის დამახასიათებელი ემოციებითა და ცვლილებებით.

გვ. 8-9

პროტესტი და დეზინფექცია

კვლავ რიგში დგას სულხან-საბა,
...მას შემდეგ... არ შეუშვეს.
პარლამენტში გაბრაზდნენ და
ევროპას გაებუტნენ.

პროტესტი გამოიწვია,
ამ გადაწყვეტილებამ.
აქციებზე ტალღებია,
შავ ზღვასავით ღელვა.

ცრემლსადენ კვამლში გაეხვა
თბილისში ქართლის დედა.
მტერს მოყვარისგან ვერ არჩევს,
ცინკის ცრემლებად ლღვება.

– მე ყველა ძალადობას ვგმობ! –
ამბობენ კორექტულად.
მათი სიტყვები უფრო სპობს,
ვიდრე სპეცრაზმის ლულა.

ჯავშნისთვის სასაცილოა
ფოერვერკებით ბრძოლა.
გულუბრყვილობა უფროა,
ვიდრეა ძალადობა.

საპასუხოდ კი წაქცეულს,
ბიჭისთვის, თავში ქუსლი...
სისასტიკედ გადაქცეულ,
განზრახ მკვლელობას უდრის.

– პროპაგანდისტულ გავლენებს
თავი ვერ დააღწიეს,
თუ კლავენ ამერიკელებს,
ჩვენთან მსგავსად გაწირეს!

ყველას სასჯელი მოელის,
ამზადებენ შავ სიებს.
ვერავინ გადაურჩება,
რეჟიმის რეპრესიებს.

პროტესტის გამოხატვისთვის
გარიცხეს სტუდენტები.
ლამის გულწრფელი აქტისთვის,
გახადეს პატიმრები.

ფოიე დაათმობინეს
პარაზიტების სპრეით.
ესე ქნეს ეთიკის საბჭოს,
პედაგოგების ხელით.

მმართველმა ჩინოვნიკებმა
ცნეს ხელოვნების ძალა.
სამხატვრო ხელმძღვანელებად
დანიშნეს თავი თავად.

მაგრამ, რომ თავისუფლება
ხელოვნებაა მარად,
ვერცერთმა ხელისუფალმა
ამდენი ვერ გათვალა.

ზურგზე არავინ შეისვეს
ცაში ლურჯა ცხენებმა.
სასოწარკვეთას მიეცნენ,
ვინც სცადა გაჭენება.

ამოუგდეს კარგ პოეტებს
ჭიდაობოთ მკლავები.
თეატრიდან გამოაგდეს
არტისტი მუქარებით.

ხელფასები გაუუქმეს,
ვინც საერთოდ რამე თქვა,
ბოლოს იმდენი გაუშვეს,
მხოლოდ შენობა შერჩათ.

არ აღირსეს პოეზიას,
სხვა არაფერზე ფიქრი.
ესეც პოლიტ. პამფლეტია,
ყელში ამოდის რითმი.

– თავისუფლება პატიმრებს! –
მთელი ძალით და ღონით,
ყვიროდა სასამართლოსთან
გოგონა მეგაფონით.

ირაკლი ცხადაია

შიომღვიმის კანკელი („ჯვარცმა“)

კანკელი არა მხოლოდ ღვთისმსახურების რიტუალურ გარემოს უზრუნველყოფს, არამედ ქრისტიანული მრწამსის განსაზღვრული თემების ვიზუალურ-ხელოვნებით ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს. ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი ამ კატეგორიაშია შიომღვიმის მონასტრის ტაძრის კანკელი, რომელიც XI–XII საუკუნეებით თარიღდება და მის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია „ჯვარცმის“ კომპოზიცია — ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ფუნდამენტური თემატური მოტივი. კანკელი მთლიანად შესრულებულია ქვისგან და წარმოადგენს რელიეფური ნაკვეთის ტექნიკით შექმნილ კომპოზიციას, რომელიც, ფუნქციური დანიშნულების გარდა, ღრმა თეოლოგიური და სიმბოლური მნიშვნელობითაც გამოირჩევა. შიომღვიმის კანკელი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასზე ჩანს ქართული შუა საუკუნეების ქვისმოქმედთა ოსტატობისა და ღრმად ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული ტრადიციის სინთეზი. კანკელის კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტილისტურ მწკრივს, ფიგურების სიმეტრიულ განლაგებასა და თეოლოგიური აქცენტების ზუსტად განსაზღვრას, რაც მიუთითებს იმდროინდელი სახელოსნოების მაღალ პროფესიონალურ დონეზე და ეკლესიური ხელოვნების მდგრად განვითარების პროცესზე.

სტატიის მიზანია შიომღვიმის ტაძრის კანკელის მხატვრულ-სტილისტური, იკონოგრაფიული და თეოლოგიური ანალიზი, რაც გულისხმობს როგორც მისი ვიზუალური სტრუქტურის კვლევას, ისე კომპოზიციის შინაარსობრივ გაანალიზებას. აღსანიშნავია, რომ შიომღვიმის კანკელი არა მხოლოდ მონასტრის მხატვრულ მთლიანობაში ასრულებს ცენტრალურ როლს, არამედ წარმოადგენს იმდროინდელი ეკლესიური ხელოვნების ტენდენციების ნათელ მაჩვენებელს. ამიტომაც მისი შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ხელოვნებათმცოდნეობრივი, ასევე კულტუროლოგიური და თეოლოგიური თვალსაზრისით.

შიომღვიმის მონასტერი

შიომღვიმის მონასტერი (შიომღვიმე) მცხეთა-მთიანეთის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. კომპლექსი სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს მოიცავს, VI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. შიომღვიმის მონასტერი ერთ-ერთმა ასურელმა მამამ, შიო

➤ 4 გვ.

◄ 3 გვ.

მღვიმელმა დააარსა VI საუკუნის შუა ხანებში. დროთა განმავლობაში ასურელი მამის გარშემო სამონასტრო თემი შეიკრიბა. მონასტრის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა ეკლესიის აგება. სწორედ შიო მღვიმელის მოღვაწეობის ხანას მიეკუთვნება კომპლექსის უადრესი ნაგებობა — იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ქართული გუმბათოვანი სატაძრო ხუროთმოძღვრების საწყისი ხანების დამახასიათებელი ნიმუშია. ეკლესიის აგების შემდეგ შიომ განმარტოება გადაწყვიტა, მონასტრის წინამძღვრად ევაგრე დაადგინა, თავად ღრმა და ბნელი მღვიმე შეარჩია და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა. ანდერძის თანახმად, იგი ამავე მღვიმეში დაკრძალეს, რომელსაც XI საუკუნის დასასრულს დარბაზული ეკლესია დააშენეს. მრავალგზისი შემოსევებისა და დარბევების შედეგად შიომღვიმე დაუძლურდა. მართალია, მონასტრის საკეთილდღეოდ კვლავ იღვწოდნენ ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) და სასულიერო პირნი, მაგრამ მონასტრის ძლიერება აღარ აღმდგარა. მონასტერი, როგორც ფეოდალური მეპატრონე, ექსპლუატაციას უწევდა გლეხებს. შიომღვიმის ამილახვართა ხელში გადასვლის შემდეგ, მონასტრის ყმა ვალდებული გახდა, სამონასტრო გადასახადთან ერთად, სამეფო და თვით საამილახორო გამოსაღებებიც გადაეხადა, რის გამოც გლეხები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი კარ-მიდამო და სხვას შეჰკედლებოდნენ ან გადასახადზე უარი ეთქვათ. ასეთ გლეხებს მონასტერი სასტიკად სჯიდა. 1804 წელს გადასახადებით შეწუხებულ შეიარაღებულ გლეხებს მონასტერი დაურბევიათ.

შიომღვიმის ტაძრის არქიტექტურა ტიპური ქართული საკულტო ნაგებობის მაგალითია. ტაძარში განთავსებული იყო კანკელები, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი ჯვარცმის გამოსახულება იყო. ძეგლი იესო ქრისტეს ჯვარცმის სცენას ასახავს, რომელიც ღრმა სულიერი სიმბოლიზმითაა გაჯერებული. კანკელის მხატვრობა ამახვილებს ყურადღებას არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენაზე — ქრისტეს ჯვარცმაზე, არამედ მის ღრმა რელიგიურ მნიშვნელობაზე. აქ ასახულია ქრისტეს მსხვერპლი და მისი გზა ადამიანთა სულების განწმენდისაკენ, რაც, თავის მხრივ, მნახველში დიდ სულიერ გავლენას ახდენს.

კანკელის აღწერა/ანალიზი

მოცემული შიომღვიმის კანკელი მაცხოვრის ჯვარცმის სცენას ასახავს. XI საუკუნით დათარიღებული კანკელის გარე ნაწილი რთული ფიტური (მცენარეული) ორნამენტებისგან შედგება, რომელიც მოიცავს ყვავილოვან-ფოთლოვან სტილიზებულ მოტივებს, ზოგან წრიულ ან ნახევარწრიულ სტრუქტურაში განლაგებულს. მსგავსი მორთულობა ცნობილია როგორც ზემოთ ნახსენები „ფიტური ორნამენტი“ ან „მცენარეული არკადული ქსოვილი“. შიდა მხარეს, სიუჟეტს გარს რთულად გადაჯაჭვული ხაზებისგან შედგენილი ორნამენტი აკრავს, რომელიც ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ და ბიზანტიურ ხელოვნებაში. ამას ინტერლაკი — დეკორატიული ძაფისებრი მორთულობა ეწოდება. მთლიანობაში ასეთი კომპოზიციური გაფორმება — სადაც სიუჟეტური რელიეფი მოქცეულია მსგავსი ტიპის ჩარჩოში — შეიძლება მოიხსენიებოდეს როგორც დეკორატიული არქიტექტურული ჩარჩო ან ფრიზული ბორდიური.

კომპოზიცია „ჯვარცმის“ მოკლე იკონოგრაფიულ ვარიანტს წარმოადგენს (გენგიური ნ., შესავალი იკონოგრაფიაში, თბილისი, 2020, გვ. 185). მასში პირველხარისხოვან ფიგურებს — იესო ქრისტეს, მარიამსა და იოანე ღვთისმეტყველს ვხვდებით, თუმცა აღსანიშნავია მეორეხარისხოვანი, სიმბოლურად წარმოჩენილი, სავარაუდოდ, ანგელოზების გამოსახულება მზისა და მთვარის ფიგურებში, რომელიც ჯვარცმის იკონოგრაფიის სახასიათო ატრიბუტს წარმოადგენს. მისი გამოსახვის მიზეზი ისაა, რომ მაცხოვრის ჯვარცმის დროს დღე და ღამე ერთდროულად იყო (გენგიური, შესავალი იკონოგრაფიაში, გვ. 187). კანკელის ქვედა და მარცხენა კიდეებზე შეინიშნება მასიური ფრაგმენტაცია, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით, შესაძლოა — ქვის გატეხით ან გარეთ ყოფნის პირობებში ჩამოშლით. ამ მიზეზიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის თქმა, იყო თუ არა რაიმე გამოსახული ჯვრის ქვედა სივრცეში. იმავდროულად, დაზიანებულია მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სახეებიც. მიუხედავად აღნიშნული პრობლემისა, შესაძლებელია კომპოზიციაში არსებული დაბალანსებული ტრაგიზმის აღნიშვნა.

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში.

ლუკა შატბერაშვილი

მოქალაქეების როლი პიესაში „რიჩარდ მესამე“

უილიამ შექსპირის პიესაში „რიჩარდ მესამე“ მრავალი გამორჩეული პერსონაჟი გვხვდება, რომელთაც კონკრეტული მიზნები აქვთ. თუმცა, აქ არის პერსონაჟთა ერთგვარი ფენა - მოქალაქეები, რომლებიც, თითქოს, დამკვირვებლების როლს ასრულებენ, მაგრამ, რეალურად, დიდ გავლენას ახდენენ მკითხველზე. სწორედ მათი თვალით ჩანს საზოგადოებრივი განწყობა, შიში, მორალური გაურკვევლობა და სინდისის ხმა. მათსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება. აქაც ხშირად შეგვხვდება „მაყურებელი“ მოქალაქეების ფენა - შიშით, დაკვირვებითა და მოლოდინით.



მოქალაქეები პიესაში ჩნდებიან მეორე მოქმედებაში. „მაშ მოვემზადოთ, არევ-დარევას ბევრს ვნახავთ“, „მეტად საშიში ფიქრები აქვს მთავარს გლოსტერსა“, „ ყველანი შიშში არიან“ - ეს ფრაზები გამოხატავს შექსპირის მიერ დახატულ საზოგადოებრივ სიფხიზლეს - უბრალო ხალხი, რომელიც ვერ ერევა მოვლენებში, მაგრამ ხვდება სიმართლეს. ისინი გრძნობენ, რომ რაღაც ცუდი ხდება, მაგრამ არ აქვთ ძალა ან გამბედაობა, ხმა აიმაღლონ. რიჩარდი პიესის მანძილზე ძალაუფლების მოპოვებას ცდილობს. ასეთი ფიგურის მმართველობის, მიუხედავად, მოქალაქეები ავლენენ სიმტკიცესა და სიფხიზლეს. ისინი არ იცვლებიან გარემოსთან ერთად, განსხვავებით ბუკინგემისა, რომელიც ჯერ რიჩარდს უჭერს მხარს, შემდეგ კი სინდისს ვერ უძლებს.

მოქალაქეები განიხილავენ ამბავს, თითქოს, ეს მათ არ ეხებათ და, რაც არ უნდა მოხდეს, ყველაფერს შეგუებულები არიან. იციან, რომ ვერავის საქმეში ვერ ჩაერევიან, უბრალოდ განაგრძობენ ბჭობას და ცხოვრებას. პიესის ბოლოს რიჩმონდის გამოჩენა მოქალაქეებისთვის სინათლის სხივია. ის იმარჯვებს ბოროტებაზე.

მოქალაქეების პერსონაჟები შექსპირის პიესაში ასახავენ იმ ხმას, რომელიც ხშირად არ ისმის. მათი ეჭვი, შიში და სინდისი გვაფიქრებინებს, რომ სამეფო გადაიტანს შიგნიდან განახლებულ ზეწოლას. თანამედროვეობაშიც, პოლიტიკური ან სოციალური დაპირისპირების დროს, ხშირად ვამჩნევთ დუმილში მყოფ მოქალაქეებს - ადამიანები, რომლებიც ხვდებიან სიმართლეს, მაგრამ ვერ, ან არ ერევიან.

რობერტ სტურუას დადგმაში მოქალაქეთა სცენა, რომელიც შექსპირის პიესაში საზოგადოების ხმას წარმოადგენს, რეჟისორმა განსხვავებული ფორმით გვაჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტიდან მოქალაქეების პერსონაჟები ამოღებულია, მათი ფუნქცია კვლავ შენარჩუნებულია, თუმცა, უკვე სხვა პერსონაჟების მეშვეობით. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ აღწერს საზოგადოების სახეს: „ვინაა ისეთი ბრიყვი, რომ ვერ მიხვდეს სიმართლეს, მაგრამ ვინაა ისეთი თავზეხელაღებული, გაბედოს და თქვას, მივხვდიო. წახდა ქვეყანა და კიდევ უარესია მოსალოდნელი, იმიტომ რომ ხედავ ბოროტებას და თვალებს იბრმავებ“. აღწერილია უსუსური და ფარისევლური მასა, რომელიც თვალს იბრმავებს. ასევე, საინტერესო პერსონაჟი გვხვდება, ჯამბაზი, რომელიც იქცევა სპექტაკლის ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად. ის თვალს ადევნებს მოქმედებას და საუბრობს პრობლემებზე, რომლებიც სტურუასთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო იმ პერიოდისთვის - თეატრალურობის ზედაპირულობა და საზოგადოების ფარისევლობა. რეჟისორმა იმ პერიოდისთვის ყველაზე დიდი პრობლემა აჩვენა მაყურებელს, საბჭოთა კავშირისგან გამოწვეული ადამიანების გადაგვარება. საზოგადოება ხმას ვერ იღებდა შიშის გამო და სისტემას ემორჩილებოდა. ადამიანები ერთმანეთს ვეღარ ენდობოდნენ და ქვეყანა მოიცვა შიშმა, მონობამ და უნდობლობამ. სტურუას რიჩარდში მოქალაქეების ხმა არ ქრება - პირიქით, იგი უფრო ღრმად და მძაფრად გაისმის, რეჟისორის მიერ შეგნებულად შერჩეული სიმბოლური ფიგურების საშუალებით.

თუ ვისაუბრებთ ავთანდილ ვარსიმაშვილის დადგმაზე, მასში გარკვეულწილად იგრძნობა სტურუას გავლენა - მუსიკისა და ხმის გამოყენებაში, პერსონაჟების პლასტიკაში, აღნაგობასა და მეტყველების სტილში. რაც შეეხება მოქალაქეებს, ფიზიკურად ამ პერსონაჟებს არავინ თამაშობს. ჩვენ გვესმის მხოლოდ ბრბოს ხმა, რომელიც დაბნეულია. აურზაური, ქაოსი და შიში იგრძნობა მათ ხმაში. რეჟისორმა გვაჩვენა, რომ ბრბო არის ადვილად დაყოლიებადი, ისე რომ ერთი ხელის დაქნევაზე ემორჩილება. ბატონმა ავთომ მოქალაქეების ტექსტი ამოიღო სცენიდან, თუმცა, ამ ქაოსური და დამახშობელი ბრბოს ხმით საკმაოდ კარგად გადმოსცა საზოგადოების სახე და მათი სათქმელი.

თეკლა თალაკვაძე

ქრისტეს შობა

ქრისტეს შობა, ჯოტო დი ბონდე. კაპელა დელ არენას ფრესკა. 1304-1306 პადუა, იტალია

„შობა“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორისაა. „შობა“ განსაკუთრებით პოპულარული თემაა ხელოვნებაში და წამყვანი ადგილი უკავია შუა საუკუნეებში.

„შობის“ იკონოგრაფიული პროგრამა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა (გენგიური ნ., ხელოვნების შესწავლის მეთოდები, შესავალი იკონოგრაფიაში, 2020, გვ. 114). პირველი ვარიანტები გვხვდება IV საუკუნეში. თვითონ შობის დღესასწაულიც არ ყოფილა თავდაპირველად მყარად გარკვეულ რიცხვთან დაკავშირებული, რაზეც კლიმენტ ალექსანდრიელი წერდა (დაახლოებით 150-215 წლები). თავდაპირველად გავრცელდა „მოგვთა თაყვანისცემის“ კომპოზიცია. ადრექრისტიანულ პერიოდში ეს თემა გვხვდება სარკოფაგებზე, კატაკომბებში, რავენის მოზაიკურ მხატვრობაში და სხვა. ამ დროს „მოგვთა თაყვანისცემის“ კომპოზიციის ორი ტიპი ჩამოყალიბდა: ცენტრული, სიმეტრიული ვარიანტი და რიტმული, მსვლელობის ამსახველი ვარიანტი. მაგალითად, რომაულ სარკოფაგებზე ღვთისმშობელი წარმოდგენილია ქრისტე ემანუილით ხელში ტახტზე მჯდომარე კომპოზიციის ცალ მხარეს და მეორე მხრიდან მისკენ მიემართება სამი მოგვი.

მხოლოდ VIII-IX საუკუნეებში ყალიბდება „შობის“ ტიპური იკონოგრაფიის ძირითადი ელემენტები და პერსონაჟები. არსებობს „შობის“ ორი იკონოგრაფიული ტიპი – მოკლე და ვრცელი რედაქციები, რამდენიმე ვარიაციით. მოკლე ვარიანტები გვხვდება IV-VII საუკუნეებში. ვრცელი ვარიანტი მრავალფიგურიანი კომპოზიციის სახით ყალიბდება და აერთიანებს ადრექრისტიანულ პერიოდში ცალ-ცალკე არსებულ თემებს, თაყვანისცემა იქნება ეს თუ უშუალოდ შობა. ეს გართულებული ვარიანტი მთელ მესიანისტურ იდეას გამოხატავს.

პიეტრო კავალინის „იესოს შობა“

პიეტრო კავალინი ცნობილია ფრესკებითა და მოზაიკებით, რომლებიც ასახავს წმინდანების ცხოვრებასა და ბიბლიურ ისტორიებს. სანტა მარია ტრასტევერეს ეკლესიაში კავალინის მოზაიკები, განსაკუთრებით „წმინდა მარიამის ცხოვრება“ (მოზაიკების სერია) არის ერთ-ერთი მისი ცნობილი ნამუშევარი. ამ მოზაიკებში გამოიხატება კავალინის უნარი, გააერთიანოს ძველი რომაული სტილის ელემენტები და შუა საუკუნეების ქრისტიანული თემატიკა.

კავალინის ნამუშევრები ცნობილია ნატურალიზმით, რაც ფიგურებისა და სცენების რეალისტურ გამოსახვას გულისხმობს. ეს იყო ინოვაციური მიდგომა იმ ეპოქის ხელოვნებაში. კავალინიმ გამოიყენა პერსპექტივა და სივრცის აღქმა, რაც მის ნამუშევრებს მეტ სიღრმესა და დინამიკას ანიჭებს.

პიეტრო კავალინის „ქრისტეს შობა“ არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი, რომელიც შუა საუკუნეების იტალიური ხელოვნების სიმდიდრეს და თავისებურებებს ავლენს. მისი ფრესკა გამოირჩევა ნატურალიზმით, ფიგურების რეალისტური გამოსახულებებითა და დეტალების დელიკატურობით, რაც მას განსაკუთრებულ მხატვრად აქცევს.

მარიამი გამოსახულია ჩვილ ქრისტესთან ერთად, რომელიც იასამნისფერ საწოლში წევს. მის გვერდით კი წმინდა მარიამია, ასევე წმინდა იოსები, ნამუშევრის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, რომელსაც ხშირად ჩაფიქრებული პოზით ხატავენ. ჩვილი იესო გამოსახულია მარიამის გვერდით, ხშირად ის წარმოადგენს მთავარ ფიგურას, რომელსაც მწყემსები და ანგელოზები თაყვანს სცემენ. ასევე სურათის ზემოთ განლაგებული ანგელოზები სიმბოლურად გამოხატავენ ზეცას და ღვთაებრიობას. ისინი ხშირად დაფრინავენ ან მუხლებზე ჩოქით არიან გამოსახულნი.

➤ 7 გვ.

◄ 6 გვ.

ფრესკაში, ასევე, ასახულია მწყემსები, რომლებიც ქრისტეს თაყვანს სცემენ. ხარისა და ვირის გამოსახულებები სიმბოლურად მიუთითებენ იმ პერიოდზე. კავალინის ნამუშევრებში ხშირად ჩანს მღვიმე, სადაც იესო დაიბადა, და ბუნებრივი ელემენტები, როგორიცაა მთები და ხეები, რომლებიც სცენას სიღრმესა და რეალისტურობას ანიჭებს.

პიეტრო კავალინი იყენებს ნატურალიზმს, რაც მისი ფიგურების და სცენების რეალისტურ გამოსახვას გულისხმობს. ეს მეთოდი მის ფრესკებს განსაკუთრებულად ცოცხალს და დეტალებით მდიდარს ხდის.

კავალინის ნამუშევრებში გამოყენებულია პერსპექტივა, რაც სცენებს სიღრმესა და მოცულობას ანიჭებს. ეს მიდგომა მნიშვნელოვანი იყო შემდგომი პერიოდის მხატვრებისთვის.მის სტილში იგრძნობა ძველი რომაული მოზაიკისა და ფრესკის გავლენა, რაც მის ნამუშევრებს უნიკალურობას ანიჭებს.

ჯოტოს „ქრისტეს შობა“

ჯოტო დი ბონდონეს შექმნილი ადამიანების სახეები და განცდები სრულიად განასხვავებს მას თანამედროვეებისაგან – ჯარისკაცის სახეზე, რომელიც ჩვილს დედას ართმევს, ვხედავთ სირცხვილის გრძნობას. ეგვიპტეში მიმავალი ხალხი ჭორაობს იოსებსა და მარიამზე. ფსიქოლოგიური ზეწოლით გამოირჩევა იუდას კოცნა, სადაც ყურადღებას იპყრობს ორი ცენტრალური პერსონაჟი - ქრისტე და იუდა. აქ ჯოტომ როგორც სახის გამომეტყველებით, ისე სამოსით გამოხატა განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ჯოტოს „ქრისტეს შობა“ არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ნამუშევარი ქრისტიანულ ხელოვნებაში, რომელიც შუა საუკუნეების და რენესანსის ზღვარზეა შექმნილი. ეს ნამუშევარი შედის ფრესკების სერიაში, რომელიც ჯოტომ შექმნა სკროვენიის კაპელაში (იგივე არენას კაპელა) პადუაში (იტალია) 1303-1305 წლებში.

ნამუშევარზე წმინდა მარიამი გამოსახულია ცენტრში, ჩვილ იესოსთან ერთად. ხოლო იოსები მარჯვნივ ზის, თითქოს ღრმა ფიქრშია ჩაფლული. სცენის ზემოთ რამდენიმე ანგელოზი დაფრინავს, და მაცხოვრის დაბადებას ევლინება. მწყემსები, რომლებიც თაყვანს სცემენ ქრისტეს, ასევე ხარები და ვირები, რომლებიც სიმბოლურად არიან გამოყენებული შობის სცენებში. ხოლო ფონზე გამოსახულია მთები რაც სცენას შედარებით უფრო მეტ სიღრმეს და რეალისტურობას ანიჭებს.

ჯოტო იყენებს ბუნებრივ გამოსახულებებს და რეალისტურ დეტალებს, რაც მისი ეპოქის მხატვრებისგან გამოარჩევს. ფიგურების ემოციები და პოზები უფრო ბუნებრივია და ნაკლებად ფორმალურია, რაც ახალ დონეს ანიჭებს შუა საუკუნეების ხელოვნებას.

ასევე, ჯოტოს ნამუშევრებში გამოყენებულია პერსპექტივის ელემენტები, რაც სცენებს სიღრმესა და მოცულობას ანიჭებს. ეს მიდგომა იყო ინოვაციური და მნიშვნელოვანი რენესანსის მხატვრების შემდგომი განვითარებისთვის.

რაც შეეხება ფერებს, ფრესკაში გამოყენებულია ნათელი ფერები და სინათლის ეფექტები, რაც სცენას სიცოცხლესა და დინამიკას ანიჭებს. განსაკუთრებით გამორჩეულია ანგელოზების გამოსახულებები, რომლებიც შუქით არიან მოცულნი.

პიეტრო კავალინი (1240-1330), იესოს დაბადება – მოზაიკა, სანტა-მარია ტრანსტევერეში, რომი.

ჯოტოს „ქრისტეს შობა“ მნიშვნელოვანი ნამუშევარია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის მხატვრებზე, განსაკუთრებით რენესანსის ოსტატებზე, როგორებიც არიან მიქელანჯელო, რაფაელი და ლეონარდო და ვინჩი. მისი ინოვაციური ტექნიკა და ემოციური ექსპრესია შემდგომში გახდა საფუძველი დასავლეთის ხელოვნების განვითარებისთვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ლიზი ფეიქრიშვილი

„გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ისევ გაზაფხული“ (2003)

„გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ისევ გაზაფხული“ არის სამხრეთკორეელი რეჟისორის, კიმ კი-დუკის ფილმი, რომელიც ასახავს ადამიანის ცხოვრების ციკლს. თითოეული სეზონი — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი — ცხოვრების სხვადასხვა ეტაპია, თითოეულისთვის დამახასიათებელი ემოციებითა და ცვლილებებით. მოქმედება სრულად მიმდინარეობს მდინარის პირას მდებარე ბუდისტურ ტაძარში. მთავარი გმირები არიან ბერი და ბიჭი, რომელიც ბავშვობიდანვე ამ ტაძარში იზრდება.

გაზაფხული: ფილმი იწყება პატარა ბიჭის სურათით, რომელიც ბერის, მოძღვრის, გავლენით იზრდება. ბერისაგან სწავლობს ყველაფერს. სწორედ მოძღვრის დამსახურებით იაზრებს, რომ ადამიანი არ უნდა დადგეს ბუნებაზე მაღლა; ადამიანები, ფრინველები და ცხოველები ერთნი არიან — არავინ არავისზე მეტი არ არის. ბავშვობის დროს მიღებული გაკვეთილი და განცდილი დანაშაულის შეგრძნება მთელი ცხოვრების განმავლობაში მის მეხსიერებაში რჩება. ვხედავთ, როგორ მოიბამს უზარმაზარ ქვას სხეულზე და ადის მაღალ მთაზე. პარალელურად ჩნდება კადრები იმ თევზის, გველისა და ბაყაყის, რომლებსაც ბავშვობაში ქვა მოაბა — თითქოს, საკუთარ თავს ვერ აპატია.

ზაფხული ადამიანის ზრდასრულობის დასაწყისს განასახიერებს. ბიჭი უკვე მოზარდია და პირველად აწყდება სიყვარულისა და ვნების განცდებს, რომლებიც საბოლოოდ მის შინაგან ბუნებას ამძიმებს. ეს ახალგაზრდული ეტაპი სავსეა პესიმისტური განწყობებით, შინაგანი ქაოსითა და შეცდომებით, რომლებიც გარდაუვალია განვითარებისა და თვითგაცნობიერების გზაზე.

შემოდგომა სიმბოლურია ასაკში გადადგმული ნაბიჯებისა და გარდასახვის ეტაპისთვის. შემოდგომის მელანქოლიური ელფერები ეფინება ეკრანს. იცვლება ემოციური ფონი, ირღვევა ფილმის მედიტაციური და მშვიდი განწყობა, ადგილს იკავებს ადამიანური, დამიწებული ემოციები, ბრაზი, ზიზღი, დრამა, მკვლელობისა და თვითმკვლელობის სურვილი. სულის წარსული დაზიანებები ჩნდება, ხის იატაკზე ამოტვიფრული სიმბოლოების სახით. მშვენიერი იყო სცენა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი უნდა წაეყვანათ მკვლელობის გამო, ის მაინც აგრძელებდა ამოტვიფრას მთელი ღამე, ფილმში ხაზგასმულია სულიერი სიმშვიდის მნიშვნელობა, სულიერ სიმშვიდეს შეუძლია განკურნოს, სულიერ სიმშვიდეს შეუძლია ბრაზისგან გაათავისუფლოს. ასევე გამორჩეულად მომეწონა ბერის თვითმკვლელობის სცენა, ძალიან შთამბეჭდავი, დრამატული და, ამავდროულად, სიმსუბუქით სავსეა.

➤ 9 გვ.

◄ 8 გვ.

ზამთარი — ბიჭი ბრუნდება ტაძარში, სადაც ბერი აღარ ხვდება. მისი რეაქცია ძალიან მშვიდი და უბრალოა — სიკვდილი არ აღიქმება ტრაგედიად. ფილმი მიგვანიშნებს, რომ გაზაფხული ყოველთვის მოდის — სიცოცხლე ციკლურად და ახალი დასაწყისით გრძელდება — ტაძარში ჩნდება პატარა ბიჭი, რომელიც იმავე შეცდომას უშვებს, რაც ოდესღაც თავადაც დაუშვია. ახლა უკვე მას მოუწევს ამ ბავშვისთვის გზის ჩვენება.

ტაძარი, რომელიც მდინარის პირასაა განთავსებული, აძლიერებს მედიტაციურ განწყობას, ასევე ჩიტების, წვიმის ხმები. დამთრგუნველი და, ამავდროულად, სასიამოვნოა სიჩუმე, რომელიც მძლავრ ემოციურ გავლენას ახდენს მაყურებელზე. ვფიქრობ, სიჩუმე ერთ-ერთი მთავარი დეტალია ფილმის ხასიათის გადმოსაცემად. შეგრძნება მეუფლება, რომ ამ სიჩუმეში ისინი ცნობიერად ცხოვრობენ აწმყოში — თითქოს მათ თავში არაფერი შემაწუხებელი არ ტრიალებს, ისევე როგორც მედიტაციისას. ფილმის ყურებისას ხშირად მახსენდებოდა ეკჰარტ ტოლეს წიგნი „სიჩუმე ამბობს“, სადაც ავტორი წერს: „როდესაც შინაგან სიჩუმესთან კონტაქტს კარგავ, საკუთარ თავთან კავშირიც გეცლება — და ამით იკარგები სამყაროში“. ის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფიქრს გვიზიარებს: „აზროვნების შიგნით არსებული ხმაური ისევე მოქმედებს, როგორც გარე ხმაური, ხოლო გარე სიჩუმეს შიდა მდუმარება შეესაბამება“. სწორედ ამგვარ შიდა სიჩუმეს ასახავს ფილმი — სიჩუმეს, რომელიც არა მხოლოდ მძლავრი ემოციური ხასიათის მატარებელია, არამედ მაყურებელშიც აჩენს შეგრძნებას, თითქოს ყველაფერს ცნობიერად და მშვიდად აღიქვამ აწმყოში, სწორედ ისე, როგორც მედიტაციის დროს.

„გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი და ისევ გაზაფხული“ — ეს მხოლოდ წელიწადის დროების ჩამონათვალი არაა. ეს არის სიცოცხლის უწყვეტი მოძრაობა, ადამიანის სულიერი განვითარების სიმბოლო და ბუნებასთან თანაზიარობის გამოხატულება. ფილმი თანმიმდევრულად გვაჩვენებს ადამიანის ცხოვრების გზას — ბავშვობიდან სიბერემდე, გარესამყაროს შეცნობიდან შინაგან განვითარებამდე, ბრაზიდან სიწყნარემდე. ფილმი გვახსენებს, რომ ყველა დასასრულს ახალი დასაწყისი მოსდევს, და ის, რაც ოდესღაც ტკივილს იწვევდა, შეიძლება გადაიზარდოს სიღრმისეულ გაცნობიერებაში და სულიერ სიმშვიდეში. ფილმის ყოველი დეტალი ქმნის სივრცეს, სადაც ადამიანი რჩება მარტო საკუთარ თავთან, ბუნებასთან და ყოფნის ჭეშმარიტი არსის გააზრებას იწყებს. სწორედ ამიტომ, ეს ფილმი არ გვიყვება უბრალოდ ამბავს — ის გვაჩვენებს, როგორ ვიცხოვროთ ცნობიერად, და გვახსენებს, რომ გაზაფხული ყოველთვის დაბრუნდება.

ნინე კიკილაშვილი

გამომცემლობა „კენტავრი“, აღმაშენებლის გამზ. 40. ტელ: 032 2 999 411 (240); www.tafu.edu.ge